მაისის წვიმებიდან ნოემბრის წვიმებამდე
ვესალმები იზა ორჯონიკიძეს – ადამიანს, პოეტს და მეგობარს

აი, "ოდესღაც და... სულ ახლახან" – ეს ვერლენური (*Jadis et naguère*) სათაურის კრებული (1999). ის იწყება 1966 წლიდან ისეთი სრულყოფილებით, როგორიც მხოლოდ გზის დასასრულს შეიძლება იქნას მიღწეული. ვაწყდებით შედევრს პირველივე სტრიქონებთან: "დიდედა" ქრესტომათიულია, ის ნამდვილი წინკარია 387 ლექსის კრებულისა, სადაც მრავალფერი გარდაქმნა-ფერისცვალებებით არის გაშლილი მისი პოეზიის ძირითადი თემები, რომელთა შესახებ მსურდა საუბარი. საუბარი მეგობარზე და პოეტზე. საუბარი იმაზე, თუ რას შეიძლება აცხადებდეს პოეტი თავისი სიღრმიდან ან ასე: იმაზე, თუ რა შეიძლება ამოვიკითხო მეგობრის სტრიქონებს შორის, რომელთაც ავტორი ძვირფასი რელიკვიებივით ან, თუნდაც, ცოცხალი არსებებივით, თავისი სხეულისა და სულის ნაწილებივით და, საბოლოოდ, როგორც საიდუმლოს შხეფებს, განიცდის. ზოგიერთ მათგანზე ის წერს მკითხველისადმი მიმართვაში, რომ არ ისურვებდა მათ გამოქვეყნებას – ამ სიტყვის ძლიერი თავდაპირველი აზრით – "მინდა დარჩნენ ბავშვობასთან, იმჟამინდელ მოგონებათა მსგავსად ხელუხლებელნი". ამას მოითხოვს პოეტის კეთილშობილება. ეს ყოველი ჩვენგანის ფიქრიც არის. ამგვარი პიეტეტი ადამიანის შინაგანი ცხოვრების პირველწყაროებისადმი დღეს იშვიათია; საჯაროობა დღეს მოედო შინაგან ცხოვრებასაც. ამაში დღევანდელი მასმედია, რომელსაც სურს ხელოვნების ადგილი დაიჭიროს საზოგადოების ცხოვრებაში, გვარწმუნებს. დარჩა რაიმე ხელუხლებელი? ყველაფერი ხელყოფილია, რასაც კი მისწვდა ადამიანის თვალი და ხელი. ადამიანი გაშიშვლებული, ბიოლოგიურ დონემდეც კი, უდევთ ხელისგულზე და ეს გამჭვირვალობა – "ეპოქის" ხმაა, დროის გამოწვევაა. მაგრამ ყოველთვის არის ვიღაც, რომელსაც სურს, რომ რაღაც ხელუხლებელი. Noli tangere! და ეს ვიღაც ურჩი, რომელიც აღმადინებას მიუყვება, პოეტია.

ის პოეტია, ვისაც ვესალმებით ჩვენ დღეს.

ვისურვებდი ისეთივე ლაკონიურობით და არსებითად გამოხატულიყო ამ კრებულით აღძრული შთაბეჭდილებანი, როგორც მასში თავმოყრილი ლექსებია ლაკონიური, დროზე წერტილდასმული; არ დაყრილიყო სიტყვები, "როგორც მარცვალი, სიტყვები უქმი, სიტყვები ცოტა..." ძველი, გამოცდილი დევიზი non multa, sed multum – არა რაოდენობით ბევრი (რაც მუდამ ცოტაა), არამედ არსებითად ბევრი – ჩვენში უგულებელყოფილ-დავიწყებულია, თუკი არსებულა ჩვენს თვალსაწიერზე. მრავალსიტყვაობა, როგორც ბევრი სხვა რამ, საიმედო თავშესაფრად გადაფარებია ცოცხალ ნაღდ განცდას.

კრებული იწყება იდილიური სურათით და მთავრდება თითქოს უიმედო დაისით, საძაგებელი ნოემბრის "უკმეხი და ცივი ამინდებით", ზამთრის მოლოდინით... რატომ თავდება ასე კრებული "ოდესღაც და... სულ ახლახან"? რატომ დაესმის აქ ასეთი წერტილი? საბოლოოა იგი, თუ მხოლოდ ამ კრებულის თვისებაა?

სიცოცხლის მდუმარე სიყვარულს ცვლის ნაღველი, ხშირად გაუგებარი, კვლავ ვერლენის კვალზე: "უმიზეზო ნაღველიც,– უკვე განუკურნელი". გავბედავ და ამოვკრებ ზერელე გადაკითხვითაც კი თვალში საცემ სიმბოლომდე აყვანილ რამდენიმე რეალია-კონცეპტს, რომლებიც გაფანტულია კრებულში და ქსოვენ და ქარგავენ მისი ადამიანური სამყაროს მიუწვდომელ "მეტალოგიურ ერთიანობას" (ს.ფრანკი).

ესენია: ქართლი, სოფელი, ბავშვობა, წვიმა, მაისი ("ჟღერს მაისი ჩემი", "უკანასკნელო ჩემო მაისო") და ნოემბერი ("საძაგელი დღეა ნოემბერი სამი"), თითოეული თავ-თავისი წვიმებითურთ – რაღაც გამოუთქმელის ხატ-სიმბოლოები, მეტალოგიური ყოფიერების მანიფესტაციებია, ეს მისი სამშობლოა, საიდანაც მოდის, მისი ქვეყნის ტოპო-ქრონოგრაფია, სივრცულ-დროჟამული ნაქარგი. დებულება, რომ ადამიანი ბავშვობიდან მოდის, ანბანურია, მაგრამ მისი პოეტური რეალიზაცია ხშირად არადამაჯერებელია: აკლია კონკრეტული საგნობრიობა, რაც გვეტყოდა, რომ მას ნამდვილად უარსებია და დღესაც არსებობს სისხლით და

ხორცით აი ამ ადამიანისთვის, რომ ეს სწორედ მისი ბავშვობაა და სხვისი არავისი; და, არ იქნება პარადოქსი, თუ ვიტყვით, რომ მოკლებულია ასევე განზოგადებას, რომ ყველას შეეძლოს მასში საკუთარი ბავშვობის ამოცნობა, რომ ითქვას: ეს ჩემი ბავშვობაც არის. სხვისი ბავშვობის შემოტანა ჩემს გამოცდილებაში – ამაში მეხმარება მეგობარი და ეს მამდიდრებს. ჩვენი მეგობარი ბავშვობის მხატვარია, "სხვაი ჩემის" მომტანი ჩემამდე, არა ხმამაღალი დეკლამატორი, ერთი იშვიათთაგანი გალაკტიონის შემდეგ, ვინც ჩვენი წარსული "სხვაი ჩემით" გაამდიდრა.

კითხვაზე, თუ საიდან მოდიხარ, ის უყოყმანოდ პასუხობს: "შუა სოფლიდან, ბავშვობიდან..." შუა სოფლიდან – სამყაროსა და წუთისოფლის შუაგულიდან, საიდანაც იწყება დროისა და სივრცის ათვლა.

"რად წამოვედი ბავშვობიდან?" ან "ცხოვრების საწინდარიდან"? ან მაისიდან, ან ქართლიდან, ან წვიმებიდან,– სწუხს სული.

მრავალგზის გამხელილი წვიმის ნოსტალგია მიანიშნებს წვიმების ცხოველმყოფელ მონაწილეობას ადრინდელი ბავშვობის სიზმარ-ცხად გამოცდილებაში. ყველგან და ყოველთვის წვიმს მის სოფელში, სოფელი წვიმიანია თავისი არსებით. წვიმა სოფლის სიმშვიდე და სიწმიდეა, სოფლის კულტურაა, რომლითაც ის უპირისპირდება ქალაქის ცივილიზაციას. და ეს არის "უებარი წვიმა", რომელიც გადარეცხავს ქალაქ-დედინაცვლის, წვირსა და ცოდვებს... ეს ქალაქისა და სოფლის პირისპირდგომა ჩუმი და წყნარია, თითქოს მორჩილიც, ის არ იღვრება ურბანისტულ იერემიადად, წყევლა-კრულვად (როგორც ხშირად გვსმენია). ერთადერთი, როგორც შეუძლია მას მონათლოს იგი, ეს არის "გზა – სატანჯველი" (ლექსში "ქალაქი"). რომ განვაზოგადოთ, სოფელი დიდედაა (წარსულისა და აწმყოს მთლიანობა), რომელსაც აფენია "სანთლის ჩრდილი და ჟამთა ვერცხლი", ქალაქი – დედინაცვალი, რომელიც "უფლის წინაშე სცოდავს და სცოდავს".

"მცირე ანდერძი (ახალგაზრდა მწერლებს,– ძალიან რომ აწუხებთ ქართული სოფლის დაცარიელება)" – ეს ლექსი ამ, შეიძლება ითქვას, მისტიური, მაგრამ ხშირად პროფანირებულ-გარიოშებული თემის

უკანასკნელი (ერთხელ და სამუდამოდ) პუბლიცირების ცდაა, რაც აღარ მეორდება. აქ იმიჯნება ერთმანეთისგან მისი პოეზია და “დღიური პროზა”. გაშიშვლებული “სიმართლის სუსხი” თუ “კუშტი სიმართლე” დღიური პროზის პათოსს მიებარა სამხილებლად. გვინახავს, მოგვისმენია იმ ხმაურიან წლებში მეხისმტეხელი ორატორი, გამოთქმის სიხისტე და მკვახე შეძახილები, მაგრამ ამ ზეპირ პუბლიცისტურ ამბოხს პოეზიაში ვერ შეუღწევია. რატომ? – ის არ მოდის სოფლიდან, ბავშვობიდან, წვიმებიდან, მაისებიდან. ის არ მოდის სიცოცხლის პირველწყაროდან...
ვესალმები ადამიანს, პოეტს და მეგობარს.